ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისს სხდომის

ოქმი #6

2021 წლის 17 ივნისს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 27.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები და ისაუბრა ცვლილებების მიზეზებზე (იხ. დანართები 1). წარმოდგენილი ცვლილებები შეეხო:
    1. საბაკალავრო პროგრამა "მათემატიკას" და სადოქტორო პროგრამა „მათემატიკას" - ცვლილებები განპირობებულია აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებით;
    2. საბაკალავრო პროგრამას "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია" - ცვლილებები განპირობებულია პროგრამის ოპტიმიზაციით, ABET აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებით და ABET მოთხოვნებით;
    3. საბაკალავრო პროგრამებს „კომპიუტერული მეცნიერება" და „კომპიუტერული მეცნიერება" (ინგლისურენოვანი) - ცვლილებები შეტანილია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანისა და ასახვის მიზნით, ABET აკრედიტაციის მოთხოვნების სრულად უზრუნველსაყოფად.
    4. სამაგისტრო პროგრამა: „ინფორმაციული სისტემები"- ცვლილება მიღების წინაპირობებში - შედეგების მიღწევის დონის გაზრდისა, მიღების პირობების ოპტიმიზაციის მიზნით.

5. სამაგისტრო პროგრამა: „კომპიუტერული მეცნიერება“ - აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინების მიზნით.
6. სადოქტორო პროგრამა: „კომპიუტერული მეცნიერება“ -ცვლილება მიღების წინაპირობებში - შედეგების მიღწევის დონის გაზრდის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ბ.თუთბერიძემ, გ.სირბილაძემ, ვ.ტრაპაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პროგრამული ცვლილებების შესახებ - სამივე საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს ცალცალკე ეყარა კენჭი.

კენჭისყრის შედეგები: სამივე პროგრამისთვის ცვლილებები დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებები საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებში „მათემატიკა“, საბაკალავრო პროგრამებში “ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“, „კომპიუტერული მეცნიერება“ და „კომპიუტერული მეცნიერება“ (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამებში „ინფორმაციული სისტემები“, „კომპიუტერული მეცნიერება“, სადოქტორო პროგრამა: „კომპიუტერული მეცნიერება“ (იხ. დანართები 1) .

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე - მიმდინარე საკითხები.

ა) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების განახლებულის ნიმუში (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, თ.თადუმაძემ, მ.ამაღლობელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ნიმუშის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ნიმუში (იხ. დანართი 2).

ბ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ წარმოადგინა ინფორმაციული სისტემების, ბიოლოგიისა და ქიმიის სამაგისტრო პროგრამების ზოგიერთი მაგისტრანტის ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს:

1) სამაგისტრო პროგრამა: "ინფორმაციული სისტემები":
   მაგისტრანტი: ანა შარაშენიძე,
   ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. გელა ბესიაშვილი,

თემა სათაურით: „სწავლისა და სწავლების ზოგიერთი მიდგომა ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“. შეიცვალის **ახალი** სათაურით:
„ციფრული სურათების ზუმირებისა და მობრუნების სისტემა დაფუძნებული ინტერპოლების ზოგიერთ ალგორითმზე“;

2) სამაგისტრო პროგრამა: "ბიოლოგია":
მაგისტრანტი: მარიამ ბედუკაძე,
თემის სათაური „უკიდურეს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს არიდული რაიონების სწორფრთიანები (Insecta: Orthoptera) დავით გარეჯას ღრმულისა და ადიგენი-ასპინძის ეკოტონთა მაგალითზე“,
ხელმძღვანელად ნაცვლად პროფ. არნოლდ გეგეჭკორისა დაინიშნოს ასისტენტ პროფ. მარინა ბოკერია;

3) სამაგისტრო პროგრამა „ქიმია:
მაგისტრანტი: ალექსანდრე ვანიშვილი,
ნაცვლად თემის სათაურისა „ადამანტანშემცველი ზოგიერთი ბენზიმიდაზოლის სინთეზი, დახასიათება და ბიოლოგიური აქტიურობა“ დაუმტკიცდეს **ახალი** სათაური „ზოგიერთი ადამანტანშემცველი ბენზიმიდაზოლის სინთეზი, დახასიათება და ბიოლოგიური აქტიურობა“,
ხელმძღვანელები: აკად. შოთა სამსონია, ქიმიის დოქტორი დავით ზურაბიშვილი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი